რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№189/თ

„02“ აპრილი, 2025 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩასატარებლად ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომების ორგანიზებულად, შეუფერხებლად და საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ჩატარების უზრუნველსაყოფად საჭიროა განისაზღვროს საორგანიზაციო საკითხები და ცალკეულ მოხელეთა მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - ***გიორგი კვირიკაშვილს*** დაევალოს ყოველწლიურად, არაუგვიანეს პირველი ივლისისა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოითხოვოს 18 წელს მიღწეული მოქალაქეთა ერთიანი სია და ელექტრონულ პროგრამაში ასახვის მიზნით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტს;

2. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ადგენს და ამტკიცებს საქმის განმხილველი მოსამართლე მხარეებთან მოთათბირების შემდეგ;

3. სასამართლო სხდომაზე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის და კითხვარების დამტკიცების და ამობეჭდვის შემდეგ (უზრუნველყოფს საქმის განმხილველი მოსამართლის სხდომის მდივანი), სია და კითხვარი გადაეცემა სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - ***გიორგი კვირიკაშვილს,*** რომელიც უზრუნველყოფს კითხვარების და ელექტრონულ პროგრამაში უწყებების მომზადებას, რომელსაც ალაგებს მისამართების და რაიონების მიხედვით;

4. სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - ***გიორგი კვირიკაშვილი*** ახდენს თავმჯდომარის მიმართვის, კითხვარების და კითხვარებთან ერთად დასაგზავნი დოკუმენტების გამრავლებას და კონვერტებში მოთავსებას, მათზე კანდიდატის სახელის, გვარის და რეგისტრაციის მისამართის მითითებას, რომელსაც გადასცემს რუსთავის საქალაქო სასამართლოს კურიერებს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის გადასაცემად;

5. იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია გზავნილების ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არსებული სასამართლოების დახმარებით ჩაბარება,

გზავნილები იგზავნება ელექტრონული საშუალებით *(შემსრულებელი - სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - გიორგი კვირიკაშვილი);*

6. დაკონვერტებული დოკუმენტების დასარიგებლად სასამართლოს კურიერები ახდენენ მსაჯულობის კანდიდატების მისამართებზე გასვლას (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია სასამართლოს სხვა თანამშრომელთა რესურსის გამოყენება);

7. საკურიერო ჯგუფის წევრების მიერ კანდიდატთან გამოცხადების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილს. გ. კვირიკაშვილი* ასევე ახდენს სხვა სასამართლოებთან კომუნიკაციას და ინფორმაციის შეგროვებას ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის გზავნილების ჩაბარების თაობზე, რომლის შედეგებს აღრიცხავს სპეციალური პროგრამის მიერ შექმნილ დეტალურ Exel-ის ცხრილში, რომელსაც ასევე აწვდის მოსამართლეს და მოსამართლის თანაშემწეს;

8. კანდიდატებთან დატოვებული კითხვარების უკან წამოღებას უზრუნველყოფენ საკურიერო ჯგუფის წევრები;

9. მსაჯულობის კანდიდატების მიერ დაბრუნებული (შევსებული) კითხვარების დალაგებას, მათი მხარეთა რაოდენობის შესაბამის ეგზემპლარად გამრავლებას, ტომებად შეკერვას ახდენს სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი (გიორგი კვირიკაშვილის მხრიდან აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში - ლიკა მჭედლიშვილი);*

10. შერჩევის სხდომამდე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა მიერ შევსებული კითხვარების ასლების მხარეებისთვის ხელწერილით გადაცემას ახდენს სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი;*

11. შერჩევის სხდომისთვის, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის იმ სხდომის დარბაზში სადაც უნდა ჩატარდეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა დარბაზის წინ უნდა განთავსდეს სარეგისტრაციო მაგიდა (ორ კაცზე), სადაც უნდა მოხდეს გამოცხადებულ კანდიდატთა რეგისტრაცია. მაგიდაზე ასევე განთავსებული უნდა იყოს საწერი კალმები და სტეპლერები *(უზრუნველყოფს - სპეციალისტი სამეურნეო საკითხებში, შესრულებაზე კონტროლს ახდენს - გიორგი კვირიკაშვილი);*

12. სხდომის დარბაზის ფართის და გამოცხადებულ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუ ერთ სხდომის დარბაზში შეუძლებელი იქნება გამოცხადებულ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა განთავსება, პროცესში მონაწილე მხარეებთან შეთანხმებით, სხდომის წარსამართად გამოყენებულ იქნეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს დარბაზებს შორის დისტანციური ჩართვის შესაძლებლობა. საჭიროების შემთხვევაში, დარბაზებს შორის ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა გადაყვანა უზრუნველყოს შესაბამის დარბაზში გამწესებულმა მანდატურმა.

13. სარეგისტრაციო მაგიდებთან ახლოს უნდა მოხდეს ბეჯების დამაგრება, რათა ადვილად მოხდეს გამოცხადებული კანდიდატებისთვის სარეგისტრაციო ნომრების მინიჭება *(უზრუნველყოფს - სპეციალისტი სამეურნეო საკითხებში, შესრულებაზე კონტროლს ახდენს - გიორგი კვირიკაშვილი);*

14. კანდიდატთა სიების ანბანურად დალაგებას, სიებში ხელმოწერის, პირადი ნომრის, ბეჯის ნომრის და კანდიდატის გამოცხადების და გასვლის მისათითებელი გრაფების წარმოებას დანართი №1-ში ახდენენ რეგისტრატორები *(სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - გიორგი კვირიკაშვილი, კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში - ლიკა მჭედლიშვილი);*

15. სასამართლოს შენობის ფოიეში გამოცხადებულ კანდიდატებთან შეხვედრას და დახმარებას სარეგისტრაციო მაგიდამდე მისვლაში ახდენს №1 საგუშაგოს მანდატური და სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრული მანდატური;

16. შენობის პირველ (გარდა მოსაცდელი სივრცისა) და მეორე სართულის ფოიესა, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის იმ სხდომის დარბაზში, სადაც უნდა ჩატარდეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა დაიშვებიან მხოლოდ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები. თანმხლები პირები არ დაიშვებიან. აღნიშნულს აკონტროლებს ფოიეს შესასვლელში მყოფი მანდატურები, აქვე გათვალიწინებულ უნდა იქნას, რომ სხდომა არის საჯარო და როცა შერჩევა დაიწყება, თუ დარბაზში ადგილი დარჩება უნდა დავუშვათ თანმხლები პირები;

17. რეგისტრატორი გამოცხადებულ კანდიდატებს რეგისტრაციის პარალელურად აძლევს სამკერდე ნიშნებს და აფრთხილებს, რომ პროცესის დამთავრებამდე არ მოიხსნან ბეჯი და სხდომის დარბაზში ადგილი დაიკაონ ბეჯის ნომრის მიხედვით;

18. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, რეგისტრატურასთან მყოფი მანდატური იმყოფება იქ და სხდომის დასრულებამდე უზრუნველყოფს კანდიდატების შეშვებას დარბაზში, ამასთან აქცევს ყურადღებას, რომ კანდიდატებმა არ დატოვონ სხდომის დარბაზი მოსამართლის განკარგულების გარეშე;

19. შერჩევის სხდომის დაწყებისას დარბაზში უნდა იმყოფებოდეს ე.წ. ,,მითერი" *(სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - გიორგი კვირიკაშვილი ან/და კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში - ლიკა მჭედლიშვილი)*, რომლებიც ანაწილებენ დარბაზში შესულ კანდიდატებს მათი სამკერდე ნიშნის ნომრის მიხედვით;

20. შერჩევის სხდომაზე, იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი მოითხოვს მისი თვითაცილების საკითხის უშუალოდ სხდომის თავმჯდომარესთან გაცხადებას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხდომის თავმჯდომარისა და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის საუბრის კონფიდენციალურობა და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი რისკი, აღნიშნულის თაობაზე გაიგონ სხდომის დარბაზში მყოფმა სხვა პირებმა, რომლებიც არ არიან უფლებამოსილი მოისმინონ აღნიშნული საუბარი, სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი,* ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის სხდომის თავმჯდომარესთან მოწვევისას, მოწმის მიკროფონთან რთავს „AJ-34"-ს (ხმის დამხშობი) აპარატს, რომელიც გამოსცემს სპეციფიურ ხმას და ჩაახშობს მიმდინარე საუბარს. საუბრის დასრულებისთანავე ხმის ჩამხშობი მოწყობილობა უნდა გაითიშოს შემდგომ გამოყენებამდე. ხმის ჩამხშობი მოწყობილობა „AJ-34" უნდა შეინახოს სპაციალისტმა ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში, რომელიც უზრუნველყოფს მის შენახვას და პერიოდულ კონტროლს, რათა მუდმივ მზადყოფნაში იყოს გამოყენებისთვის.

21. ე.წ. „მითერი" რჩება სხდომაზე და უზრუნველყოფს კანდიდატებისთვის მიკროფონების მიწოდებას;

22. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებისთანავე რეგისტრატორები თავიანთ სიებს აერთებენ ერთ სიად, აქსეროქსებენ სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ეძლევა დაცვას, ერთი ბრალდებას და ერთი დარბაზის შესასვლელში მდგომ მანდატურს. სიის დედანი გადაეცემა მოსამართლის სხდომის მდივანს, მოსამართლისთვის წარსადგენად. სხდომის დასრულების ან კანდიდატის განთავისუფლების შემთხვევაში რეგისტრატორი მანდატურთან ერთად ამოწმებს პირადობას, სიაში აკეთებს შესაბამის აღნიშვნას და იბრუნებს სანომრე ბეჯს. *(სიების მხარეთათვის გადაცემას და შემდგომ კითხვარებთან ერთად მათგან უკან დაბრუნებას უზრუნველყოფს სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - გიორგი კვირიკაშვილი);*

23. სხდომის დარბაზში მუდმივად უნდა იმყოფებოდეს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც მართავს პროექტორს და უზრუნველყოფს მიკროფონების გამართულ მუშაობას;

24. არსებითი სხდომის მიმდინარეობისას ქსელის ადმინისტრატორი იმყოფება მუდმივ მზადყოფნაში, სჭიროების შემთხვევაში აღმოფხრას ტექნიკური ხარვეზი და დაეხმაროს მხარეებს ელექტრონული დოკუმენტების გამოქვეყნებაში;

25. სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი* უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების კვების უზრუნველსაყოფად სათანადო პირობების შექმნას (შენობის მე-2 სართულზე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის განკუთვნილი კარადა ტრანსფორმერის, ასევე ნაფიც მსაჯულთა სასადილო ოთახის მოწესრიგებას);

26. შერჩევის სხდომაზე - სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი* ადგენს არჩეული ნაფიცი მსაჯულების და სათადარიგო მსაჯულების სიას, გადასცემს მათ შესაბამისი სტატუსის აღმნიშვნელ ნიშანს, ართმევს ნუმერაციის ნიშანს, ათვალიერებინებს ნაფიც მსაჯულთა სამუშაო ოთახს, არკვევს მათ საჭიროებებს (სასტუმრო, ტრანსპორტირება და ა.შ.). სპეციალისტი - *გიორგი კვირიკაშვილი* შერჩეულ მსაჯულებთან აზუსტებს მათ საკომუნიკაციო მონაცემებს და ამასთან, გადასცემს მათ სასამართლოს მოხელეთა ტელეფონის ნომერს (სპეციალისტის ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში, საქმის განმხილველი მოსამართლის თანაშემწის და მანდატურის უფროსის);

27. საქმის არსებითი განხილვის სხდომის მიმდინარეობისას ერთი მანდატური (განსაზღვრავს სამსახურის უფროსი) ყოველთვის დგას დარბაზში ნაფიცი მსაჯულების გვერდით საგუშაგოზე, ერთი - დარბაზის შესასვლელ კარებთან შიგნიდან, ერთი სხდომის დარბაზის ფოიეში. ფოიეში განთავსებულია დასაკითხი მოწმეებისთვის სკამები. პროცესის მიმდინარეობისას ნაფიცი მსაჯულების გვერდით მდგომი მანდატური იღებს დავალებას მოწმის სხდომის დარბაზში შემოყვანაზე, რასაც რადიოკავშირით გადასცემს სხდომის დარბაზის გარეთ ფოიეში მდგომ მანდატურს, რომელიც უზრუნველყოფს მოწმის დარბაზში შეყვანს. დარბაზის კარების შიგნით მდგომი მანდატური მოწმეს აცილებს ნაფიცი მსაჯულების მიმდებარედ მდგომ მანდატურთან და ეს უკანასკნელი მოწმეს მიაცილებს დასაკითხ ადგილამდე;

28. სხდომის დარბაზში ნაფიცი მსაჯულების გვერდით მდგომი მანდატური საჭიროების შემთხვევაში უფროსი მსაჯულის მეშვეობით იღებს წერილობით კითხვებს და წინადადებებს, რომელსაც აწვდის მოსამართლეს, მასვე ევალება მოსამართლის მიერ გადასაცემი წერილობითი დოკუმენტების ნაფიცი მსაჯულებისთვის გადაცემა;

29. სხდომის დარბაზში ნაფიცი მსაჯულების მიმდებარედ გამწესებული მანდატური ახდენს რადიო კავშირით შეტყობინებას მოსამართლის სათათბიროდ გასვლის ან შესვენების გამოცხადების თაობაზე, რაც ფოიეში, დარბაზის შესასვლელში და ფოიეს გარეთ მდგომ მანდატურებს მიანიშნებს განსაკუთრებული ყურადღებისკენ (შერჩევის სხდომის დამთავრებამდე ფოიედან არავინ გაუშვან ხოლო არსებითი განხილვისას არ დაუშვან მოქალაქეების მოწმეებთან ურთიერთობა). ამ შეტყობინებისთანავე ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახთან მჯდომი სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი* აღებს სხდომის დარბაზის კარს მოსამართლის გასატარებლად და სხდომის მდივანთან ერთად ნაფიცი მსაჯულები გაჰყავს სათათბირო დანაყოფში;

30. ყველა სხდომის დაწყებისას მხარეები და სხდომაზე დამსწრე პირები შეყავს სხდომის დარბაზში გამწესებულ მანდატურს, რის შემდეგაც სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილს* სხდომის დარბაზში შეყავს ნაფიცი მსაჯულები და მხოლოდ ამის შემდეგ სხდომის დარბაზში შედიან სხდომის გადაღების უფლების მქონე ტელევიზიის წარმომადგენლები (კამერებით) და ბოლოს სხდომის მდივანი და მოსამართლე;

31. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა (სპეციალისტმა ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში, მანდატურებმა, სხდომის მდივანმა, მოსამართლის თანაშემწემ და ქსელის ადმინისტრატორმა) უნდა იცოდნენ ერთმანეთის ტელეფონის ნომრები;

32. ყველა სასამართლო სხდომის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი* ხვდება ნაფიც მსაჯულებს და აწარმოებს გამოცხადების რეესტრს. ასევე აწარმოებს ერთიან უწყებას, რომლითაც მსაჯულებს ატყობინებს მომდევნო სხდომის დროს, რაც დადასტურებული უნდა იყოს მსაჯულთა ხელმოწერებით. სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლის წინ სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი* უზრუნველყოფს, რომ ნაფიც მსაჯულებს ეკეთოთ მათთვის განკუთვნილი ბეჯები;

33. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მანდატური - რომელსაც განსაზღვრავს მანდატურის სამსახურის უფროსი და გამწესდება სხდომის დარბაზში ნაფიც მსაჯულთა მიმდებარე ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა (მოსამართლე, მსაჯულები, ბრალდების მხარე, დაცვის მხარე) შორის კომუნიკაციას, უფროს მსაჯულს აწვდის მიკროფონს, უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მიმაგრებული მანდატურების კოორდინირებულ მუშაობას, საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევისას უზრუნველყოფს მოწმის დასაკითხი კათედრის დახურვას და მტკიცებულებათა გამოსაკვლევ მაგიდად მოწყობას;

34. სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *გიორგი კვირიკაშვილი* ვალდებულია უზრუნველყოს ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება, არ დაუშვას გარეშე პირები მსაჯულთათვის განკუთვნილ სათათბიროსა და სასადილოს ტერიტორიებზე, უზრუნველყოს ნაფიც მსაჯულთა სასადილო და სათათბირო ოთახებში სისუფთავე, გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება ნაფიცი მსაჯულებისადმი და მათ მოთხოვნებზე მოახდინოს მყისიერი რეაგირება;

35. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩასატარებლად ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2024 წლის 15 იანვრის №14/თ ბრძანება;

36. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

37. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს ყველა თანამშრომელს;

38. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2025 წლის „02“ აპრილის №189/თ ბრძანებით

დანართი №1

№	კანდიდატის სახელი, გვარი	პირადი №	კანდიდატის № (ბეჯი)	კანდიდატის ხელმოწერა	კანდიდატის ხელმოწერა (გასვლისას)